საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №142/ნ

2024 წლის 30 აგვისტო

ქ.თბილისი

სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალის, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალი, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული“ ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული“ ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გიორგი ამილახვარი**
მინისტრი